ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი N50

29 აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, ბ. ფირცხელიანი, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ვ. მნელაძე, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე საკრებულოს წევრები:
გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა, ლევან ჯაფარიძე, შალვა ოგბაიძე.

მოწვეული სტუმრები:
1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი № 12-0321118126-03; 28.04.2021).

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
   თანამომხსენებელი: ბატონი ლევან მიქავა
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-0321118120-03 ; 28.04.2021).

მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი
თანამდებობა: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული კომისიის წევრთა მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისიწინებულ პირველ საკითხს დეტალურად წარმოადგენს ბატონი გაიოზ თალაკვაძე და მას სიტყვა გადასცა.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის შესაბამისად შემოსავლების ნაწილში საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 12 მილიონი ლარით იზრდება, გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები იზრდება 30 მილიონი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები იზრდება 800 000 ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის იზრდება 1,100 000 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები იზრდება 24 მილიონი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 11 მილიონი ლარის ოდენობით. საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ინფორმაციით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამში იზრდება 78, 900 000 ლარით და შეადგენს 1 191 310 300 ლარს.

ბატონი გაიოზის განმარტებით, ზრდა შეეხო შემდეგ საბიუჯეტო ასიგნებებს: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) - 1 მილიონი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 495 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 11) – 583, 900 ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 8 835 500 ლარით, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი

01 02 08) – 11 639 700 ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01)– 2 259 800 ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებების (კოდი 02 03 02) - 517, 900 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 2 მილიონი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 231 000 ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500 000 ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 500, 000 ლარით, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) – 1 300 000 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 1 მილიონი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 06 08 04) – 6 108 600 ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა მომხსენებლის მიერ ცვლილების ძირითადი პარამეტრების წარმოდგენის შემდეგ სხდომის მონაწილეებს კითხვების წარმოდგენის თხოვნით მიმართა.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, სპორტის მიმართულებით იცვლება ცალკეული ასიგნებები. კერძოდ, თბილისში ვარკეთილსა და დიდ დიღომში მშენებარე საზოგადოებრივი მულტიფუნქციური ცენტრების სამუშაოებისთვის დამატებით გამოიყოფა თანხები, რადგან სამშენებლო კომპანიების სერვისის ღირებულება, ლარის კურსის ცვლილების გამო, გაიზარდა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ორივე პროექტის დასრულება წლის ბოლოსთვის იგეგმება.

ბატონმა გიორგიმ ასევე, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე და აღნიშნა, რომ: წყნეთის გზატკეცილზე დახურული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედნის მშენებლობისთვის 1 მილიონი ლარი გამოიყოფა; ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის მოწყობისთვის - 300 000 ლარზე მეტი; თბილისის მერიის ისანი-სამგორის სპორტული კომპლექსის, ვაზისუბნის რაგბის მოედნის რეაბილიტაციისთვის - 100 000 ლარი; ხოლო, მზიურის პარკში მდებარე ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციისთვის - 1 მილიონი ლარი.

საკრებულოს წევრი, ბატონი შალვა ოგბაიძე დაინტერესდა გრძელდება თ არა მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, რაც მათთვის ხელფასების უზრუნველყოფას გულისხმობს; დეპუტატის შემდეგი კითხვა ეხებოდა სხვა მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობას.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა კვლავ განხორციელდება, ხოლო გარდა მიმდინარე ორი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობისა, ამჯერად ახლის მშენებლობა არ იგეგმება.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობისას გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული ფედერაციის მოთხოვნები და სტანდარტები.

ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების უმეტესობის დასრულება მხოლოდ აღნიშნული თანხების დამატებით არის შესაძლებელი. თანხის უმეტესი ნაწილი კი მულტიფუნქციური ცენტრების აღჭურვას მოხმარდება. ამასთან, საქალაქო სამსახურმა აღნიშნა, რომ დაგეგმილია მშენებლობა ბაგებში, ასევე, მზიურის ტერიტორიაზე დახურული სტადიონის მოწყობა.

ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა, ჩატარდა თუ არა საჭიროების კვლევა მოსახლეობაში, რამდენად სურთ მსგავსი ტიპის სივრცეების მოწყობა, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ და მოსახლეობის ზრდამ გაზარდა სპორტული კომპლექსებისადმი მოთხოვნაც.

ქალბატონი მარიკა დარჩია ასევე, დაინტერესდა საექიმოს ქუჩაზე ახალი ბაღის მშენებლობის დაწყების პერიოდით, რაზეც ბატონმა ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და მომავალ წელს გაგრძელდება.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა თხოვა თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქალბატონ მაკა ნასრაშვილს დაეზუსტებინა, თუ რომელი ბიბლიოთეკის გათბობის სისტემის მოწყობისთვის არის ბიუჯეტში დამატებით თანხები გამოყოფილი, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ თანხით დიდუბეში მდებარე გრიგოლ რობაქიძის სახელობის ბიბლიოთეკის გათბობის სისტემა მოეწყობა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
გაიოზ თალაკვაძემ, თინათინ ნიბლოშვილმა, შალვა ოგბაიძემ, მარიკა დარჩიამ, ირაკლი გვილავამ, მაკა ნასრაშვილმა, ლევან მიქავამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ----------	6
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა რომ:

კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტი გულისხმობს კულტურის ნაწილში დამატებითი სუბსიდირების პროგრამის შემოტანას, ანუ თბილისთან დაკავშირებული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების დაფინანსებას, რაც არ გულისხმობს მხატვრულ ფილმებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა" (კოდი: 08 13) განხორციელების წესი" (დანართი N1), რომლის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტს ემატება შემეცნებით-დოკუმენტური, მცირემეტრაჟიანი ფილმების შექმნის ხელშეწყობა და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) ფესტივალებისა და კონკურსების განხორციელების, შემეცნებით-დოკუმენტური, მცირემეტრაჟიანი ფილმების შექმნის ხელშეწყობა;“.

აგრეთვე, წესის (დანართი N1) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნება კინემატოგრაფია და ანიმაციის სფროში კონკურსების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია და ეს ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) აუდიოვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – ექსპერიმენტული მუსიკის, ანიმაციის სფეროში შემოქმედებითი პროცესების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;“.
ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ამ ცვლილების განხორციელება მიზანშეწონილია იმ მიზეზის გამოც, რომ თბილისის მერიას დარჩება შექმნილი პროდუქტი, რომლის სხვადასხვა ფორმით გამოყენებაც შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების დაფინანსების ზღვარს, იგი განისაზღვრება არაუმეტეს 25 000 ლარით. პროექტები თანადაფინანსებით განხორციელდება.
ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებით საბიუჯეტო ფინანსებს, რაც თავის მხრივ, დაადასტურა ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
მაკა ნასრაშვილმა, თინათინ ნიბლოშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ----------	6
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

კომისიამ გადაწყვიტა: განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თინათინ ნიბლოშვილი